ნიკო ჯავახიშვილი

აკადემიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი

ქართულ ნუმიზმატიკურ მემკვიდრეობაში ასტროლოგიური სიმბოლიკის ასახვის ისტორიიდან

(რატომ გამოსახეს დრაკონი 1712-1713 წლებში თბილისში მოჭრილ მონეტებზე)

2024 წელი – ჩინური ჰოროსკოპის მიხედვით – დრაკონის წლად ითვლება. იმავე ჰოროსკოპის მიხედვით, ხსენებული წელი დაიწყო გასული წლის 10 თებერვლიდან და წლევანდელ 28 იანვრამდე გასტანა.

დრაკონს ქართულად – „ურჩხული“ ეწოდება. ეს ტერმინი განმარტა XVII საუკუნის მიწურულს და XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში მოღვაწე დიდმა ქართველმა სახელმწიფო მოღვაწემ, დიპლომატმა, განმანათლებელმა, მწერალმა და კალიგრაფმა სულხან-საბა ორბელიანმა (1658-1725). მის მიერ შედგენილ ლექსიკონში, რომელიც ცნობილია სახელით – „ლექსიკონი ქართული“ შეტანილია ტერმინ „ურჩხულის“ შემდეგი განმარტება: „ესე არს, რომელსა ბერძენნი სირინ უწოდენ, ხოლო ლათინნი დრეგონ(ა)სა. დიდის გველ(ვ)ეშაპის ტოლია, ფრთენი ასხენ, ვითარცა მღამიობთანი, არა თუ საფრინავად, არამედ სლვისა სამალებლად“ [1, 168].

საგულისხმოა, რომ ფრთოსანი დრაკონის (ანუ ურჩხულის) გამოსახულება ქართულ მონეტებზე ჯერ კიდევ სამ საუკუნეზე მეტი

ხნის წინათ აღიბეჭდა. ეს გამოსახულება ამშვენებს თბილისის სამეფო ზარაფხანაში მოჭრილ მონეტებს, რომლებიც ჰიჯრით, ანუ მაჰმადიანური წელთაღიცხვით 1124 წლითაა დათარიღებული. ეს წელი კი ქრისტიანული წელთაღრიცხვით – 1712/1713 წლებს შეესაბამება.

ქვემოთ მოგითხრობთ, თუ რომელი ბაგრატოვანის მმართველობის დროს გამოსახეს ზემოხსენებული ფიგურა და რამ განაპირობა ყოველივე ეს.

* * *

თბილისის სამეფო ზარაფხანაში 1712/1713 წლებში მოჭრილი მონეტები, რომლებიც ჰიჯრით, ანუ მაჰმადიანური წელთაღიცხვით 1124 წლით თარიღდება, სპილენძისგან არის დამზადებული. მის რევერსზე აღბეჭდილი სპარსული წარწერა გვამცნობს: „ფულუსი იჭედა თბილისს, 1124“. მონეტების ავერსზე (ანუ შუბლზე) გამოსახული ფრთოსანი ურჩხულის ანუ დრაკონის გარშემო არის ქართული (მხედრული) ზედწერილი „სმნ“. ეს ქარაგმა იშიფრება, როგორც „სვიმონ“ [2, 84].

საინტერესოა, ვინ იყო ამ მონეტებზე მოხსენიებული პიროვნება?

აღნიშნული სვიმონი გახლდათ ბაგრატოვანი უფლისწული სვიმონ ლეონის ძე (1682-1741), ვაჟი ქართლის ჯანიშინ ლეონისა/ ლევანისა (1652/56-1709), იმავე ლევან I-ისა, რომელიც ქართლის სამეფოს ორჯერ განაგებდა: 1) 1676-1677 წლებში; 2) 1703-1704 წლებში. ეს უკანასკნელი კი იყო ვაჟი ქართლის მეფე ვახტანგ V-ისა, იმავე შაჰნავაზისა (1598-1675), რომელიც 1658-1675 წლებში მეფობდა.

აქვე დავამატებთ, რომ ქართლის ჯანიშინად ორგზის დადგენილ ლევან I-ს, რომელსაც გამაჰმადიანების შემდეგ შაჰყულიხანი ეწოდა, შვილები შეეძინა როგორც ცოლებისაგან, ასევე, მხევლებისაგანაც. კერძოდ, მას ვახტანგი, მომავალი მეფე ვახტანგ VI (1675-1737) დაიბადა პირველი ქორწინებიდან – თუთა ქაიხოსროს ასულ გურიელისაგან (გარდაიცვალა 1678 წელს), ხოლო სვიმონი, მომა-

ვალი გამგებელი დაიბადა მეორე ქორწინებიდან – თინათინ გიორგის ასული ავალიშვილისაგან (გარდაიცვალა 1708 წელს).

სვიმონ ლეონის ძე ქართლის სამეფოს განაგებდა თავისი უფროსი ნახევარძმის – ჯანიშინ (იმავე მეფისნაცვალ) ვახტანგ VI-ის სპარსეთში გამგზავრების შემდეგ – 1712 წლის 22 აპრილიდან – 1714 წლის გაზაფხულამდე.

ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა" აღნიშნულია, რომ ისპაჰანს მიმავალმა ვახტანგმა „დაუტევა ძმა თვისი სვიმონ გამგედ ქართლისა" [3, 491].

საისტორიო წყარო გვამცნობს: „1712 წლის აპრილის კბ (ანუ 22-ს – ნ. ჯ.) მეფე ვახტანგ წაბრძანდა სპარსეთში ყეენთან 300 კაცით. ქართლის გამგებლად დატოვა თავისი ძმა სვიმონ და აქორწინა ერისთავის ბარძიმ მდივანბეგის ასულ გუქაზედ" [4, 45].

ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება: სპარსეთის შაჰინშაჰ სოლთან ჰოსეინ სეფიანთან მიმავალ ვახტანგ VI-ს, ქართლის სამეფოს მართვა, წესით უნდა მიენდო თავის ნახევარძმებს შორის უფროსი – იესე ბატონიშვილისათვის, მაგრამ მას გვერდი აუარა და გამგებლობა მის მომდევნო ძმას – სვიმონს ჩააბარა. აქედან ჩანს, რომ ვახტანგი თავის მომდევნო ნახევარძმაზე – იესეზე მეტად ენდობოდა მის უმცროს ძმას – სვიმონს. როგორც შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურა, ვახტანგის ასეთი დამოკიდებულება იესესადმი უსაფუძვლო არ ყოფილა.

თავისი ბატონიშვილობის პერიოდში, კერძოდ, 1691-1711 წლებში სვიმონი იყენებდა საბეჭდავს, რომელსაც ამშვენებდა მხედრული წარწერა: „მოსავი ღთისა ბატონიშვილი სვიმონ" [5, 45].

ქართლის სამეფოში ორწლიანი მმართველობის პერიოდში სვიმონი იყენებდა საბეჭდავს, რომელსაც ეწერა: „საქართველოს გამგებელი ბატ(ო)ნიშვილი სვიმონ" [5, 45].

საკმაოდ მცირეხნიანი გამგებლობის მიუხედავად, სვიმონმა რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება გაატარა. მან თბილისის სამეფო სტამბაში (რომელსაც 1708 წელს საფუძველი ჩაუყარა მისმა უფროსმა ნახევარძმა ვახტანგმა) დააბეჭდვინა კურთხევანი,

რომელიც ყანჩაველმა კვიპრიანე სამთავნელმა იერუსალიმში ყოფნისას, ქართულად თარგმნა [4, 48].

აღნიშნული მოღვაწეობიდან ჩანს, რომ გამგებლობის დასაწყისში სვიმონი იზიარებდა თავისი უფროსი ნახევარძმის პოლიტიკურ პროგრამას. ის მეთავეობდა ქართული არისტოკრატიის მოწინავე ნაწილს, რომელიც პოლიტიკურ-კულტურულ ასპარეზზე ვახტანგ VI-ის მიერ წამოწყებულ ეროვნულ პროგრამას ახორციელებდა [6, 404].

სვიმონ გამგებელმა დააპატიმრა თავისი ნახევარძმა – აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დომენტი IV (1676-1742), რომელიც ვახტანგ VI-ის მომდევნო, ღვიძლი ძმა გახლდათ.

საგულისხმოა, რომ კათოლიკოს-პატრიარქი დომენტი ქართლის სამეფო ტახტის პრეტენდენტად მოგვევლინა. მან სპარსეთის შაჰინშაჰს შეუთვალა, რომ ვალის ტიტულის (ანუ მეფობის) ბოძების სანაცვლოდ იგი მზად იყო განმოსილიყო, დაოჯახებულიყო და გამუსლიმებულიყო [6, 405].

თავისი გამგებლობის დასასრულს სვიმონმა ვახტანგისეულ გეზს თანდათან გადაუხვია.

ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს: „სვიმონ მართვიდა უფროს მოხუეჭით და არა შეიშინეს ღუთისა. არამედ ჰყვეს ესეცა: შეიპყრა სვიმონ კათალიკოზი დომენტი ზაკვით და წარმოუვლინა ბაქარს, რათა აღმოხადოს თუალნი. გარნა არა ჰყო ესე დედოფალმან რუსუდან“ [3, 493].

აქ მოხსენიებულ რუსუდან დედოფალში იგულისხმება ვახტანგ VI-ის მეუღლე რუსუდანი, რომელიც ყაბარდოელი მთავრის ასული გახლდათ [7, 45-46]. მათი უფროსი ვაჟი – უფლისწული ბაქარი (1700-1750) ქართლის სამეფოს განაგებდა 1716-1719 წლებში, როდესაც მამამისი სპარსეთში იმყოფებოდა. ბაქარს – მეფედ იხსენიებს მისი ნახევარძმა ვახუშტი ბატონიშვილი [3, 496].

მართალია, სვიმონი მეფე არ ყოფილა, მაგრამ ვინაიდან ის ქართლის გამგებელი გახლდათ, მას, როგორც ბაგრატოვან მმართველს, წესით, შესაბამისი რიგითი ნომერიც ეკუთვნის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1633 წლიდან დაწყებული, ის გახლდათ ქართლის

სამეფოს ერთადერთი ბაგრატოვანი მმართველი, რომელიც არ გამაჰმადიანებულა და ქრისტიანად დარჩა.

ისმის კითხვა – რომელი რიგითი ნომერი უნდა განესაზღვროს ქართლის ბაგრატოვან გამგებელ სვიმონს?

ვინაიდან ქართლის სამეფოს მანამდე მართავდა ორი სვიმონი: 1) სვიმონ I, რომელიც 1556-1600 წლებში მეფობდა და 2) სვიმონ II, რომელიც 1619-1630 წლებში მეფობდა, ამ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნებულ სტატიაში დავსვი საკითხი, რომ ქართლის ზემოხსენებული გამგებელი სვიმონ ლეონის ძე ბაგრატიონი უნდა მოვიხსენიოთ, როგორც სვიმონ III [8, 139-141].

* * *

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ბუნებრივია, ისმის კითხვა: რატომ გამოსახეს დრაკონი – 1712 წელს თბილისში მოჭრილ მონეტაზე?

1887 წელს ლონდონში გამოქვეყნებულ წიგნზე: „კატალოგი ბრიტანეთის მუზეუმში დაცული სპარსეთის შაჰთა მონეტებისა“ [9, XC] დაყრდნობით, ნუმიზმატმა თინათინ ქუთელიამ 1979 წელს აღნიშნა, რომ ჰიჯრით 1124, ხოლო ქრისტიანული წელთაღრიცხვით 1712 წელი ემთხვევა თათრული ციკლით ნიანგის წელს, რომელიც თავის მხრივ დრაკონის წელს შეესაბამება. თუმცა, მისივე ვარაუდით, ეს ფაქტი შესაძლოა, შემთხვევითობადაც ჩაითვალოს [10, 50].

ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ვინაიდან ზემოხსენებული თარიღი ჩინური ჰოროსკოპის მიხედვით დრაკონის წელი გახლდათ, მის გამოსახვას ქართლის გამგებელ სვიმონ III-ის მმართველობის დასაწყისში თბილისის ზარაფხანაში მოჭრილ სპილენძის მონეტებზე სწორედაც რომ ასტროლოგიური საფუძველი გააჩნდა. თანაც საგულისხმოა, რომ ხსენებულ მონეტებზე გამოსახულია სწორედ ფრთოსანი დრაკონი და არა ნიანგი, რომელიც უფრთო ქვეწარმავალი გახლავთ.

ყოველივე ზემოთქმულიდან კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ქართლის სამეფო სახლის იმჟამინდელი წარმომადგენლები იყვნენ

ღრმად განათლებული პიროვნებანი და მეცნიერების სხვადასხვა დარგებთან ერთად, ასტროლოგიაშიც ერკვეოდნენ.

მათ შორის კი ყველაზე გამორჩეული გახლდათ სჯულმდებელი და მეცნიერი გვირგვინოსანი ვახტანგ VI, თავისი ეპოქის ყველაზე განათლებული ქართველი, რომელსაც აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა სამართლიანად უწოდა „დიდებული და დაუვიწყარი" [11, 112].

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ გარდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა, ვახტანგ VI-მ არანაკლები ამაგი საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა დარგებსაც დასდო. კერძოდ, მან შექმნა ნაშრომები როგორც მათემატიკაში, ასევე, ქიმიაში, გეოგრაფიაში, ასტრონომიასა [12-15] და სხვ.

* * *

ამრიგად, ქართლის სამეფოს გამგებელ სვიმონ III-ის მმართველობის (1712-1714) დასაწყისში, თბილისის ზარაფხანაში მოჭრილ სპილენძის მონეტებზე გამოსახეს დრაკონი, რასაც ასტროლოგიური საფუძველი გააჩნდა. ეს განაპირობა იმ ფაქტმა, რომ 1712 წელი, ანუ ზემოხსენებული მონეტის მოჭრის თარიღი, ჩინური ჰოროსკოპის მიხედვით დრაკონის წელი გახლდათ [16, 8-11].

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტომი II, ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, 1993.
2. ნიკო ჯავახიშვილი (ავტორთა კოლექტივთან ერთად), ფული საქართველოში, საქართველოს ეროვნული ბანკის გამოცემა, თბილისი, 2003.

3. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წიგნში: „ქართლის ცხოვრება", ტომი IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.
4. საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო ავთანდილ იოსელიანმა, თბილისი, 1980.
5. ანა ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, კატალოგი, ნაწილი I, თბილისი, 1978.
6. ლოვარდ ტუხაშვილი, პოლიტიკური ვითარება XVIII საუკუნის პირველ ოცეულში, ავტორთა კოლექტიური რვატომეული „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", ტომი IV, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან – XIX საუკუნის 30-იან წლებამდე, თბილისი, 1973.
7. ნიკო ჯავახიშვილი, ნარკვევები ქართველი და ადიღელი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 2005.
8. ნიკო ჯავახიშვილი, ქართლის სამეფოს ბაგრატოვან მმართველთა ქრონოლოგიური რიგის დაზუსტებისათვის. როგორი თანამიმდევრობით განაგებდნენ ბაგრატიონები ქართლს XVI-XVIII საუკუნეებში, თსუ-ის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტომი XVI, თბილისი, 2020.
9. R. St. Pool, Catalogue of Coins of the Shahs of Persia in the British Museum, London, 1887.
10. Тинатин Кутелия, Грузия и сефевидский Иран (по данным нумизматики), Тбилиси, 1979.
11. ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტომი VI, თბილისი, 1982.
12. რაულ ჩაგუნავა, ვახტანგ ბაგრატიონის საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო მოღვაწეობა (მათემატიკა), თბილისი, 1986.
13. რაულ ჩაგუნავა, ვახტანგ ბაგრატიონის საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო მოღვაწეობა (საბუნებისმეტყველო დარგები და ტექნიკა), თბილისი, 1990.
14. რაულ ჩაგუნავა, მარქარაშვილი ელიზა, ვახტანგ VI-ის წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის, თბილისი, 2013.

15. რაულ ჩაგუნავა, ლაზრიშვილი ნინო, ვახტანგ VI-ის მათმატიკური ნაშრომი, თბილისი, 2020.
16. ნიკო ჯავახიშვილი, რატომ გამოსახეს 1712 წელს თბილისში მოჭრილ მონეტაზე დრაკონი? ქართულ ნუმიზმატიკურ მემკვიდრეობაში ასტროლოგიური სიმბოლიკის ასახვის ისტორიიდან, ჟურნალი „ისტორიანი", № 131, თბილისი, 2024.

Niko Javakhishvili

Academician, Doctor of historical sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Chief scientist-researcher of the Department Modern and Contemporary History, Foreign member of Latvian Academy of Sciences

From the history of the representation of astrological symbolism in Georgian numismatic heritage (why a dragon was depicted on the coins minted in Tbilisi in 1712-1713)

Summary

The image of the dragon has been recorded on Georgian coins for over three centuries. This image is found on coins minted in the royal mint of Tbilisi, which are dated 1124 in the Hijri (Islamic) calendar. This year corresponds to the Christian years of 1712/1713.

Between 1712 and 1714, the Kingdom of Kartli was ruled by a representative of the Bagrationi (Bagratid) royal dynasty – Simon (1682-1741). His father – Levan (1652/56-1709) ruled the Kingdom of Kartli twice: in 1676-1677 and 1703-1704. He was the son of King Vakhtang V (1598-1675), who reigned in Kartli in 1658-1675.

The study establishes that the depiction of the dragon on the above-mentioned Georgian coins had an astrological basis. This was influenced by the fact that the years 1712-1713, which is the date of the minting of the aforementioned coin, was the Year of the Dragon according to the Chinese horoscope.

ქართლის გამგებელ სვიმონ III-ის მიერ 1712-1713 წლებში (ანუ დრაკონის წელს) თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი სპილენძის ნახევარბისტიანი მონეტები ფრთოსანი დრაკონის გამოსახულებით. ეს მონეტები დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში. მისი ილუსტრაციების მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებთ ისტორიის დოქტორ მაია პატარიძეს.